ს.ს.ი.პ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

05.12.2008 № 105

(თბილისი)

/სტუ-ს ყველა აკადემიური საფეხურისა და უმაღლესი პროფესიული სწავლების სტუდენტებისათვის წინა სასწავლო წლების სწავლის საფასურის დარჩენილი ნაწილის გადახდის დამატებითი ვადების განსაზღვრის შესახებ /

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და სტუდენტებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ყველა აკადემიური საფეხურისა და უმაღლესი პროფესიული სწავლების სტუდენტებს, რომლებსაც აქვთ წინა სასწავლო წლების სწავლის საფასურის დავალიანება, დავალიანების დაფარვის დამატებითი ვადა განესაზღვროთ 2009 წლის 1 თებერვლამდე.
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში სტუდენტი გაირიცხება უნივერსიტეტიდან.
3. ბრძანება განთავსდეს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ და სასწავლო კორპუსებში თვალსაჩინო ადგილას; უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე და გამოქვეყნდეს გაზეთ „24 საათში".
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, მისამართზე - ქ. თბილისი უზნაძის ქ.№52 ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მისამართზე - ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი, №6.
5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

რექტორის მ/შ,
პროფესორი — ა. ფრანგიშვილი

ვიზები:

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი,
პროფესორი — ქ. ქოქრაშვილი

სამართლებრივი უზრუნველყოფის
განყოფილების უფროსი — ბ. მაისურაძე

სტუდენტური თვითმმართველობა — თ. დუნდუა